



საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების  
ეროვნული ცენტრის დირექტორის  
ბრძანება № 1226

23 12 2016წ.

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 1 ივნისის №223 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ადამიანური რესურსების სამმართველოს უფროსის 2016 წლის 09 დეკემბრის №1469550 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ცენტრის დირექტორის 2011 წლის 1 ივნისის №223 ბრძანებით დამტკიცებულ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შინაგანაწესში“ (დანართი №2) და მე-4 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4<sup>1</sup> მუხლი:

**„მუხლი 4<sup>1</sup>. ცენტრში დასაქმებისას წარსადგენი დოკუმენტები**

დასაქმების მსურველმა ცენტრის ადამიანური რესურსების სამმართველოში უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) ავტობიოგრაფია - Curriculum Vitae (CV);

დ) განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე) ორი ფოტოსურათი (ზომით 3X4), როგორც ნაბეჭდი, ისე - ელექტრონული სახით ჩაწერილი კომპაქტურ დისკზე (CD).“.

000791

2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოებისა და მომსახურების განყოფილებას კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების, მათ შორის, ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ, №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი



თამარ სანიკიძე